



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის ანგარიშში
2016 წლის 1 დეკემბრიდან 2017 წლის ოქტომბრის ჩათვლით (11 თვე)
გაწეული სამუშაოების შესახებ



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის წლიური საჯარო ანგარიში

2016 წლის 1 დეკემბრიდან 2017 წლის ნოემბრამდე (11 თვე)

➤ წლიური საჯარო ანგარიშის შემუშავების პრინციპები:

მუნიციპალიტეტის გამგებლის წლიური საჯარო ანგარიშის შემუშავების პროცედურები ეყრდნობა კარგი მმართველობის პრინციპებს, რაც გულისხმობს სტრატეგიული პრიორიტეტებისა და დასახული მიზნების მიღწევის მიზნით მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ მოქალაქეებთან მჭიდრო კონტაქტში არსებული რესურსების პასუხისმგებლობითა და ანგარიშვალდებულად გამოყენებასა და ამ საქმიანობის თანმდევი რისკების მართვას.

წლიური საჯარო ანგარიშის შემუშავებისას უზრუნველყოფილია შემდეგი საკითხების განხილვა:

- მართვის ეფექტურობა.
- მართვის შესაბამისობა.
- მართვის ჩართულობა.
- მართვის საჯაროობა.

➤ აღნიშნული ანგარიში შედგენილია:

- საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს, მათ შორის 88-ე მუხლის-„მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა“ შესაბამისად.
- საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს, მათ შორის მუხლის 28-ს მე-2 პუნქტის, მუხლი 37-ს მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად;
- მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილების მოთხოვნების დაცვით.

➤ საჯარო ანგარიშში განხილულ საკითხთა სტრუქტურა:

მუნიციპალიტეტის გამგებლის წლიური საჯარო ანგარიში, დადგენილ პრინციპებზე დაყრდნობითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მუნიციპალიტეტის გამგეობის უფლება-მოვალეობებიდან გამომდინარე მოიცავს სავალდებულო შემდეგ საკითხებს:

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა;
- განათლების ხელშეწყობა;
- კულტურისა და სპორტის განვითარების ხელშეწყობა;
- ჯანმრთელობის უზრუნველყოფა;
- სოციალური უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
- მუნიციპალიტეტის მუშაობის საჯაროობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა;

- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტები;

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, განხორციელებული ინოვაციური პროექტებით ერთ-ერთი წარმატებული მუნიციპალიტეტია. გამგეობა ახორციელებს მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებულ სოციალურ და ჯანდაცვის, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამებსა და პროექტებს.

მუნიციპალიტეტის გამგეობის მიზანი იყო, ქალაქის განვითარების პარალელურად, ადმინისტრაციულ ერთეულებში, სოფლებში ინფრასტრუქტურის განვითარება, შესაბამისი მიკრო გარემოსა და სერვისების შექმნა.

აქედან გამომდინარე, საჭირო გახდა სოფლის მოსახლეობაზე მორგებული, რეალურად განხორციელებადი, ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი 4 წლიანი სამოქმედო 2017 – 2018 – 2019-2020 წლების განვითარების გეგმის შედგენა.

მოსახლეობის ჩართულობით შეიქმნა გრძელვადიანი განვითარების გეგმა, რომელიც დასახლების საერთო კრებებზე ადგილობრივი მოსახლეობის მიერ პრიორიტეტად დასახელდა. აქვე შეიძლება ითქვას, რომ დასახლებული პროექტების ნაწილი მოკლე ვადაში განხორციელებადია, ზოგიერთი მათგანი კი მოიცავს ეტაპებს და შესაბამისად გაწერილია გრძელვადიან გეგმაში.

მუნიციპალიტეტის გამგეობაში, ადგილობრივ თვითმმართველობაში, დაინერგა ორი ახალი პრაქტიკა, „უფრო ახლოს ხალხთან“ და „კარდაკარ საჭიროებებზე“, რომელიც მუნიციპალიტეტის გამგეობის მუშაობის მთავარი პრინციპი გახდა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებები ითვალისწინებს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ეკონომიკური განვითარებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნას, მოსახლეობის სოციალური და ჯანდაცვის მდგომარეობის გაუმჯობესებას, განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარებას.

ადგილობრივი თვითმმართველობის ვალდებულებას შექმნას ბიზნესის განვითარების გარემო, მოწყობილი გზები, ხიდები, სანიაღვრეები, მოკლედ გამართული ინფრასტრუქტურა, რაც არის ბიზნესის განვითარების, დასაქმების მთავარი პირობა,

საანგარიშო პერიოდში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტები იყო:

- მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა, ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია;
- სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა, სკოლამდელი განათლების ობიექტების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მოწესრიგება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.
- კულტურისა და სპორტის განვითარება, ახალგაზრდული პროგრამების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად განხორციელდა შემდეგი აქტივობები.

I. ინფრასტრუქტურის განვითარება:

ამ მიმართულებით საანგარიშო პერიოდში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. ინფრასტრუქტურის განვითარება როგორც 2016 წელს, ასევე მიმდინარე 2017 წელსაც პრიორიტეტად დარჩა. მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული თითოეული პროგრამა და განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტი პირდაპირ პროპორციულად იყო მიმართული ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე.

ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით მუნიციპალიტეტმა მიზნად დაისახა ყველა სოფელში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, რომელიც ეტაპობრივად ხორციელდება.

საანგარიშო პერიოდში ადმინისტრაციულ ერთეულებში რეაბილიტირებულ იქნა ისეთი გზები, რომლებსაც 30 წელია რეაბილიტაცია არ ჩატარებია. მუნიციპალიტეტი აქტიურად მუშაობს ამ პრობლემის საბოლოო მოგვარებაზე.

2016 წლის 1 დეკემბრიდან დღემდე ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 28 მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, რომლის ღირებულებამაც 13 658 990 ლარი შეადგინა.

ამ დროისთვის მიმდინარეობს 20 მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება, რომლის ღირებულება 7 364 202 ლარს შეადგენს.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია:

პროგრამის ძირითადი მიზანია:

ქვეპროგრამა ითვალისწინებდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გზის საფარის კაპიტალური შეკეთების და მშენებლობის სამუშაოების ჩატარებას, გზების ქვიშა-ხრეშოვანი მასალით მოწყობას, რაც სრულად განხორციელდა.

მიღწეული დადებითი შედეგები:

მგზავრთა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება, საგანმანათლებლო და ჯანდაცვის ობიექტებთან შეუფერხებლად და დროულად მისვლის ხელშეწყობა. ტურიზმის ობიექტებთან მარტივად დაკავშირება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

რეაბილიტირებული გზების რაოდენობა;

- ახალი გზების რაოდენობრივი მაჩვენებელმა შეადგინა 21 ობიექტი, დაიგო 18 ადმინისტრაციულ ერთეულში 23998 კმ გზა;
- მოსახლეობის კმაყოფილების დონე გასულ წლებთან შედარებით გაიზარდა, რადგან ახალი და რეაბილიტირებული გზებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა გაიზარდა არანაკლებ 30000 ადამიანით;

გასულ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ქვემოთ ჩამოთვლილი გზების რეაბილიტაცია:

1. გრიგოლიშის ადმინისტრაციულ ერთეულში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი)- 251,251.00 ლარი;
2. კოკის ადმინისტრაციულ ერთეულში ორსანტიასთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) - 259,999 ლარი;
3. დარჩელის ადმინისტრაციულ ერთეულში ტელმანთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი).- 322,288 ლარი;
4. ტყაიას ადმინისტრაციულ ერთეულში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. (მესამე ეტაპი). -387,636 ლარი;
5. ჩხორიას ადმინისტრაციულ ერთეულში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. (პირველი ეტაპი)- 295,164 ლარი;
6. ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში ცენტრიდან N1 სასაფლაომდე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) - 201,600 ლარი;
7. ცაიშისა და ცაცხვის ადმინისტრაციულ ერთეულებში (კურორტის მონაკვეთი) საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 204,400 ლარი;
8. ნაცატუს ადმინისტრაციულ ერთეულში ზუგდიდი-წალენჯიხის ცენტრალური გზიდან, ნაცატუს მიმართულებით წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საზღვრამდე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია-250,600 ლარი;
9. ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი)-186,544 ლარი;
10. აბასთუმანის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი)-969,243 ლარი;
11. ახალაბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში, ცენტრთან დამაკავშირებელი გზის მონაკვეთის (წერეთლის ქუჩის) რეაბილიტაცია-211.000 ლარი;
12. ოქტომბრის ადმინისტრაციულ ერთეულში, ოქტომბრის ცენტრიდან ყოფილი პროფტექნიკური სასწავლებლის, ახალკახათის გავლით (ზუგდიდი-ანაკლიის საავტომობილო გზამდე) საავტომობილო გზის რეაბილიტაცია-221,000 ლარი;
13. ნარაზენი-შამადელას ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია-273.000 ლარი;
14. ოფაჩხაფუს ადმინისტრაციულ ერთეულში ნარაზენის ცენტრალური გზიდან ოფაჩხაფუს ცენტრამდე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია-216,200 ლარი;
15. ოფაჩხაფუს ადმინისტრაციულ ერთეულში, ახალსოფლის ცენტრიდან ოფაჩხაფუს ცენტრამდე გზის რეაბილიტაცია-250,000 ლარი;
16. კოკი-ორსანტიას დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (მესამე ეტაპი)- 630,000 ლარი;
17. ინგირის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის რეაბილიტაცია (ბარათაშვილის ქუჩა)- 169,700 ლარი;
18. დიდინების კახათის ადმინისტრაციული ერთეულის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია-1,505,400 ლარი;

19. ორსანტიასა და დარჩელის ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი გზის (ორსანტიას ასფალტირებული გზიდან დარჩელში, ზუგდიდი-ანაკლიას საავტომობილო გზამდე) რეაბილიტაცია-1.250.000 ლარი;
 20. კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (რუსთაველის ქუჩა) მეორე ეტაპი-313,816 ლარი;
 21. კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (რუსთაველის ქუჩა) პირველი ეტაპი-212,972 ლარი;
 22. მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მოეწყო ჭაქვინჯი-ნარაზენის დამაკავშირებელი 10 კილომეტრიანი გზა, რომელიც განხორციელდა მუნიციპალური განვითარების დაფინანსებით, სულ 3 770 000 ლარი;
 23. სულ რეგიონული განვითარების ფონდით განხორციელდა დარჩელი-განმუხურის საავტომობილო 5 კილომეტრიანი გზა, რისთვისაც დაიხარჯა 2 675 571 ლარი. დაიგო არმირებული ბეტონის საფარი. გზის საფარის დაგების პარალელურად მოსახლეობის ჭიშკრების მისადგომებიც მოხეტონდა.
- 2016 წლის 1 დეკემბრიდან დღემდე მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 23 624 მეტრ გზას, რისმა ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 8 818 848 ლარი.
 - მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ამჟამად მიმდინარეობს 8069 მეტრი გზის რეაბილიტაცია, რისი ღირებულებაც შეადგენს 3 783 287 ლარს.
 - აღნიშნული პროექტებისათვის რეგიონული განვითარების ფონდიდან გამოიყო 9600 ათასი ლარი, თანადაფინანსების თანხამ შეადგინა 1412,0 ათასი ლარი, რომელიც გამოიყო მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან;

2017 წელს მიმდინარე პროექტები:

1. მიმდინარეობს დარჩელი-ორსანტიას დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია, საერთო ღირებულებით 2,4 მილიონი ლარი.
 2. დიდინეძი-კახათის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, რომლის საერთო ღირებულებაც შეადგენს 2,6 მილიონ ლარს.
 3. კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საავტომობილო გზის რეაბილიტაციის (რუსთაველის ქუჩა) მეორე ეტაპი.
 4. კოკი-ორსანტიას საავტომობილო გზის რეაბილიტაციის მესამე ეტაპი.
- 48 ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა შიდა გზების მოწესრიგება, მოხრეშვითი სამუშაოები რისთვისაც 500,0 ათასი ლარი გამოყოფილ იქნა ადგილობრივი ბიუჯეტიდან;

ბ) ხიდების მშენებლობა რეაბილიტაცია:

ხიდების მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებული პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტში არსებული სარეაბილიტაციო ხიდ-ბოგირების შეკეთება,

რითაც გაუმჯობესდა მათი მდგომარეობის შენარჩუნება. აშენდა ახალი ხიდ-ბოგირები, აღნიშნული სამუშაოები განხორციელდა შემდეგ ობიექტებზე:

1. კორცხელი-ჭკადუაშის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის მშენებლობა. არსებული ხიდი ავარიული იყო და წლების განმავლობაში ადგილობრივ მოსახლეობას პრობლემას უქმნიდა.
2. ახალი ხიდი აშენდა სოფელ ჯიხაშკარში მდინარე ჭანისწყალზე, ხიდი ორ მუნიციპალიტეტს ზუგდიდსა და ჩხოროწყუს ერთმანეთთან აკავშირებს. მისი ღირებულება 2 მილიონ ლარზე მეტია.
3. ხიდის რეაბილიტაცია განხორციელდა ჭაქვინჯის ადმინისტრაციულ ერთეულში;
4. სოფელ ურთაში დასრულდა საავტომობილო ხიდის რეაბილიტაცია.
5. რიყეში მოეწყო გოჟოს ხიდი.
6. ახალსოფელში რეაბილიტირდა ძაღვას ხიდი.
7. სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა აფხაზეთთან დამაკავშირებელ მთავარ ხიდს მდინარე ენგურზე.

• მიმდინარეობს ქვემოთ ჩამოთვლილი ხიდების რეაბილიტაცია:

1. ჯიხაშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში- დელე ჯაბახიაზე საბენდელიანოს უბანში;
2. ჯიხაშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში-დელე ჯაბახიაზე წმინდა გიორგის ქუჩაზე;
3. ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში-ფიროსმანის ქუჩაზე;
4. რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში საჭკადუოს უბანში;
5. დიდინეძი-დიდინეძი კახათის დამაკავშირებელი ხიდი;
6. ნარაზენის ადმინისტრაციულ ერთეულში-საკალანდიოს უბანში მდინარე სკაიაზე ხიდის რეაბილიტაცია;
7. ჭითაწყარის N 3 სასაფლაოსთან მისასვლელი ხიდი;
8. ხიდბოგირის მოწყობა ნინო ზარანდიას სახლთან;
9. მილხიდის რეაბილიტაცია ჩაჩიბაიების სახლთან;
10. ყულიშკარი-ურაშონას დამაკავშირებელი ხიდის რეაბილიტაცია;
11. მილხიდის რეაბილიტაცია კოსტავასა და ტერენტი გრანელის გადაკვეთაზე;

- ზემოაღნიშნულზე სულ ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიმართულ იქნა 140,0 ათასი ლარი; სახელმწიფო ბიუჯეტიდან კი 130,0 ათასი ლარი;

მიღწეული დადებითი შედეგი შედეგები:

გაუმჯობესდა დასახლებული წყალგამყოფი უბნების ერთმანეთთან უსაფრთხო დაკავშირება, გაუმჯობესდა მოსახლეობის ყოფითი პირობები;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

შეკეთდა 14 ავარიული ხიდი,

აშენდა 10 ახალი ხიდი;

გ) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია:

პროგრამის ძირითადი მიზანია:

მუნიციპალიტეტისათვის უმნიშვნელოვანესი იყო მოსახლეობის წყლით მომარაგების პროექტების განხორციელება.

მიღწეული დადებითი შედეგები:

მოსახლეობის აუცილებელი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

პროექტის განხორციელებით სასმელი წყალს დამატებით მიიღებს 1650 ბენეფიციარი.

სოფლებში წყალმომარაგების განხორციელებასთან დაკავშირებით, საანგარიშო პერიოდში გათვალისწინებული ქვემოთ ჩამოთვლილი პროექტებიდან 2 პროექტი დასრულებულია, დანარჩენი კი დასრულდება წლის ბოლომდე;

1. ჭკადუამის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების ქსელის მოწყობა.- 194192 ლარი;
2. ზედაეწერის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების ქსელის მოწყობა.- 42000 ლარი; დასრულდა, ფუნქციონირებს;
3. აბასთუმანის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების ქსელის მოწყობა -114000 ლარი; დასრულდა დამატებითი პროექტირება;
4. ყულიშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების ქსელის მოწყობა -509777 ლარი; დასრულდა მიმდინარეობს საექსპრტო სამუშაოები;
5. კორცხელის ადმინისტრაციულ ერთეულში მოწყობილი წყალმომარაგების დამატებითი სამუშაოების ჩატარება- 50792 ლარი;
6. მიმდინარე წელს მაღალმთიან სოფლებში, წყალმომარაგების პრობლემის მოგვარებაა დაგეგმილი.

სულ საანგარიშო პერიოდში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაციისათვის მიმართული იქნა 910701 ლარი;

დ) სანიაღვრეების მოწესრიგება;

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სანიაღვრე არხების მოწესრიგება წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სანიაღვრე არხების მოწყობა და რეაბილიტაცია; სანიაღვრეების რეაბილიტაცია განხორციელდა ასევე ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით. სამუშაოები განხორციელდა თითქმის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ზუგდიდის მუნიციპალიტეტს ა(ა)იპ „ზუგდიდის კეთილმოწყობის ცენტრი“-ს მიერ.

- მნიშვნელოვანი სამუშაო განხორციელდა ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში, ქალაქ ზუგდიდს გაგრძელებაზე, ბარამიას ქუჩის გადასახვევიდან, სადაც რეაბილიტაცია ჩაუტარდა 500 მეტრი სიგრძის სანიაღვრე არხს.

მიღწეული დადებითი შედეგი:

სტიქიის პერიოდში, ხანგრძლივი და კოკისპირული წვიმების დროს, მიღწეულ იქნა ჭარბი წყლისგან განტვირთვა, სანიაღვრეების ზედმეტი წყლის მასისაგან განთავისუფლება. რითაც დაცულ იქნა მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთები და ქონება,

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ნალექიან ამინდში ჭარბი წყლის დაგროვების შემცირება.

სულ ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილ იქნა-148000,0 ლარი;

სახელმწიფო ბიუჯეტიდან კი-60000 ათასი ლარი;

ე) ნაპირსამაგრების რეაბილიტაცია;

- ნაპირსამაგრი კეთდება მდინარე ენგურზე შემდეგ სოფლებში: შამგონას, კოკის, ორსანტიას და ტყაიას მონაკვეთებზე. სამუშაოების წარმოებისთვის გამოყოფილია 2 754 848 ლარი:
 1. შამგონას ადმინისტრაციულ ერთეულში ნაპირსამაგრი სამუშაოების ღირებულებაა 225280, ლარი;
 2. ასევე შამგონას ადმინისტრაციულ ერთეულში, ღურჭკაიების უბანში ნაპირსამაგრი სამუშაოების ღირებულება შეადგენს 160980 ლარს
 3. კოკის ადმინისტრაციულ ერთეულში ნაპირსამაგრი სამუშაოების ღირებულება შეადგენს 481986 ლარს;
 4. ორსანტიას ადმინისტრაციულ ერთეულში ნაპირსამაგრი სამუშაოების ღირებულება შეადგენს 612223 ლარს;
 5. ასევე ორსანტიას ადმინისტრაციულ ერთეულში ნაპირსამაგრი სამუშაოების ღირებულებაა 851595 ლარი;
 6. ტყაიას ადმინისტრაციულ ერთეულში ნაპირსამაგრი სამუშაოების ღირებულება შეადგენს 422784 ლარს;
- სტიქიის შედეგად დაზიანებული ნაპირსამაგრების აღდგენა:
 7. ჯიხაშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში მდინარე ტარჩიაზე ნაპირსამაგრის ღირებულება შეადგენს 9000 ლარს;
 8. ყულიშკარი-უჩაშონას დამაკავშირებელი ხიდის ნაპირსამაგრის რეაბილიტაციის ღირებულებაა 11500 ლარი;

ვ) გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია:

- ქვეპროგრამის ფარგლებში გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული განათების ქსელის გაფართოება, ახალი წერტილების მოწყობა. ახალი ტექნოლოგიით დამზადებული ლედ ნათურების დანერგვა,

კერძოდ აღნიშნული სამუშაოები განხორციელდება:

1. ანაკლიას ადმინისტრაციულ ერთეულში დგებუადის ქუჩის განათება ღირებულებით 41000 ლარი;

2. ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში ჭავჭავაძის ქუჩისგანათება ღირებულებით 9000 ლარი;
 3. რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში, ზაურ თოდუას ქუჩის გარე განათება ღირებულებით 29500 ლარი;
- და სხვა სოფლებში.

• **გარე განათების მოწყობის პროექტირება დასრულდა:**

1. ორსანტიას ადმინისტრაციულ ერთეულში, ზუგდიდი-ანაკლიას გზის, კოკი-ორსანტიას გადასახვევიდან ოტობაიას ხიდამდე. ორსანტიაში წრიული გზის ჩათვლით (დაახლოებით 10 კმ);
2. ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში;
3. ხეცერას ადმინისტრაციულ ერთეულში:1). რუსთაველის ქუჩაზე გარე განათების მოწყობა 2). სოფლის ცენტრთან გარე განათების დამატება;

სულ ადგილობრივი ბიუჯეტიდან გარე განათების მოწყობისთვის გამოყოფილია 100,0 ათასი ლარი;

მიღწეული დადებითი შედეგი:

ლამის საათებში მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილება, სოფლის ქუჩებისა და უბნების განათებული იერსახე.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- წინა წელთან შედარებით დამატებით განათდა 8 ქუჩა, რამაც გაზარდა დადგმული სანათების რაოდენობა 100 ერთეულით, გაიზარდა განათებული ქუჩებისა და უბნების რაოდენობა,
- ლედ ნათურების გამოყენებით დახარჯული ელ ენერჯის ეკონომიამ შედგინა არანაკლებ 2000 ლარი;
- შემცირდა გარე განათების საექსპლუატაციო ხარჯები.
- შემცირდა ლამის საათებში დანაშაულის მაჩვენებელი,

2). სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა

შპს „ზუგდიდაგროსერვისმა“, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში გამგებლის წარმომადგენელთა ხელშეწყობითა და დახმარებით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 2 ივნისის N1800 ბრძანების საფუძველზე, განახორციელა საქართველოს მთავრობის 24.03.2017 წლის N588 და 19.05.2017 წლის N984 განკარგულებებით გათვალისწინებული აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში შეწამვლით სამუშაოები, რომელიც მოიცავდა 14 213 ჰა მიწის ნაკვეთზე გაშენებული თხილის პლანტაციების შეწამვლას და 1,5 ჰა-დან 5 ჰა-მდე მიწის ნაკვეთებზე გაშენებული თხილნარების მფლობელებზე საჭირო ინსექტიციდის დარიგებას.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პროგრამის საერთო ღირებულებამ შეადგენა 2 798 745, 63 ლარი;

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პროგრამის განხორციელება დაიწყო მიმდინარე წლის ივნისის თვის დასაწყისში, პირველ ეტაპზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გადაცემული ბენეფიციართა სიების მიხედვით შეიქმნა შესაწამლი თხილის ფართობების მფლობელების, შემდგომში ბენეფიციარების ბაზა. რამაც შეადგინა 25 445 ბენეფიციარი, დასამუშავებელი ფართობით 14 213,35 ჰა. აზიური ფაროსანას შეწამვლით სამუშაოებზე მუშაობდა 414 ჯგუფი.

2017 წლის სექტემბრის თვიდან მიმდინარეობს აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებებით გათვალისწინებული პროგრამის ფარგლებში ბიფენტრინის პესტიციდის შემცველი პრეპარატისა და ფერომონის დარიგება მოსახლეობისთვის, რამაც შეადგინა 28785 ლიტრი პესტიციდი და ამდენივე ფერომონი (ამ ეტაპისთვის დარიგებულია 98%)

3). განათლების ხელშეწყობა

- **საჯარო სკოლების ფინანსური მხარდაჭერა:**

პროგრამის მიზანი იყო:

საჯარო სკოლების ფინანსური ხელშეწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და სხვა აუცილებელი სახელმწიფო პროგრამით დაუფინანსებელი ხარჯების გაწევა.

მიღწეული დადებითი შედეგები:

საჯარო სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

წლის განმავლობაში საჯარო სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან განხორციელებული პროექტების რაოდენობრივი და თანხობრივი მაჩვენებელი, გასულ 2015 წელს იგი შეადგენდა 52,0 ათას ლარს. 2016 წლის ბოლოსათვის 87,5 ათას ლარს, ხოლო 2017 წლის ბიუჯეტით 90,0 ათას ლარს;

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობას, საჯარო სკოლების ფინანსური ხელშეწყობისა და რეაბილიტაციისათვის 2017 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი აქვს 90 000 ლარი, რომელიც გადანაწილებულია სხვადასხვა სკოლებში პროექტების განხორციელებისათვის მათი მოთხოვნის შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში საჯარო სკოლების ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში განხორცილდა შემდეგი პროექტები:

1. ჯუმის საჯარო სკოლა -წყალგაყვანილობის მოწყობისა და სველი წერტილების რეაბილიტაცია ღირებულებით 4982 ლარი;
2. რუხის საჯარო სკოლა (ნაწულუკუს შერწყმული სკოლა)- სკოლის ეზოს შემოკავება ღირებულებით 3510 ლარი;
3. დარჩელის N2 საჯარო სკოლა- სანიტარული კვანძის რეაბილიტაცია ღირებულებით 4595 ლარი;

4. შამგონას საჯარო სკოლა - სპორტული დარბაზის ფანჯრებისა და იატაკის სარეაბილიტაციო სამუშაოები ღირებულებით 4921 ლარი;
 5. ოქტომბერის საჯარო სკოლა (დავითიანი) ფოიესა და დერეფნის რეაბილიტაცია ღირებულებით 2500 ლარი
 6. ჯუმის საჯარო სკოლა - სკოლის მთავარი შესასვლელი კარის შესაცვლელად სამუშაოების დაფინანსება ღირებულებით 700 ლარი;
 7. ახალკახათის საჯარო სკოლა - ეზოს მარჯვენა და უკანა პერიმეტრის შემოკავება ღირებულებით 5000 ლარი;
 8. ინგირის N1 საჯარო სკოლა - სანიტარული კვანძის რეაბილიტაცია ღირებულებით 5000 ლარი;
 9. ჯიხაშკარის N1 საჯარო სკოლა - საკლასო ოთახების რეაბილიტაცია ღირებულებით 5000 ლარი;
 10. ცაიშის საჯარო სკოლა სკოლის ეზოს შემოკავება ღირებულებით 10000 ლარი
 11. დიდინემის საჯარო სკოლა- სკოლის სააქტო დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ღირებულებით 12100 ლარი
 12. აბასთუმანის საჯარო სკოლა - საკლასო ოთახების სარემონტო სამუშაოები ღირებულებით 5000 ლარი
 13. ონარიის საჯარო სკოლა- საკლასო ოთახების კარების რეაბილიტაცია ღირებულებით 3000 ლარი
 14. ყულიშკარის საჯარო სკოლა- ეზოს შემოკავება ღირებულებით 12500 ლარი
 15. ჯიხაშკარის N2 საჯარო სკოლა- სკოლის მინი სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოების თანადაფინანსება ღირებულებით 5000 ლარი;
- განხორციელდა განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამა:
საჯარო სკოლის 10 მოსწავლემ მიიღო გამგებლის სტიპენდია და სხვა სახის ფინანსური დახმარება, სულ 12177 ლარის ოდენობით;
 - 2017 წელს კულტურის განყოფილების მიერ სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების განსახორციელებლად ჯამში დახარჯა 54082 ლარი.
 - **სკოლამდელი აღზრდის განათლების ხელშეწყობის პროგრამისთვის გამოყოფილ იქნა 2,440.0 ათასი ლარი;**

პროგრამის მიზანი იყო:

- სკოლამდელი განათლების დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესება. სასკოლო პროგრამის დასაძლევად სათანადოდ მომზადებული ბავშვები, არსებული სკოლამდელი დაწესებულებების ბაზის მოვლა-პატრონობა და შევსება. სკოლამდელი დაწესებულებების შენობა-ნაგებობათა მონიტორინგი, სკოლამდელი ასაკის ბავშვების განათლების ხარისხის, ფინანსური უზრუნველყოფა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 44 ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 2000-მდე ბავშვი.

მიღწეული დადებითი შედეგები:

- სკოლამდელი აღსაზრდელი 6 წლის ასაკისათვის ბავშვთა განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა სოციალურ-ემოციური, ჯანმრთელობის, შემეცნებითი, მეტყველების განვითარებისათვის.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- აღნიშნულ პერიოდში გაიზარდა ბავშვთა კონტიგენტი.
- მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ამალდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებელი.
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობის საქმეს;
- ახალკახათის ადმინისტრაციულ ერთეულში აშენდა ახალი, 2 სართულიანი, თანამედროვე სტანდარტების საბავშვო ბაღი, რისთვისაც დაიხარჯა 383 106 ლარი.
- სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა ჩხორიას, რიყეს, ინგირის, დარჩელისა და ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულებში საბავშვო ბაღებს. დაგეგმილია კიროვის, ნაწულუკუს, ცვანეს და ხეცერას ადმინისტრაციულ ერთეულებში საბავშვო ბაღების გახსნა. ასევე მზადაა შამგონისა და რუხის ადმინისტრაციული ერთეულის, საბავშვო ბაღების პროექტები, რომელთა მშენებლობა დაიწყება და დასრულდება 2018 წელს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მიმდინარე წელს ჩაატარა სხვადასხვა სახის კულტურული თუ შემეცნებითი ღონისძიებები:

4). კულტურასა და სპორტის განვითარების ხელშეწყობა:

1. საანგარიშო პერიოდში კულტურული ღონისძიებების განსახორციელებლად ჯამში დაიხარჯა 54082 ლარი;
2. კულტურის ძეგლების მოვლისა და შენახვის ხარჯების პროგრამით გახარჯულია 6.148. ლარი
3. რელიგიის ხელშეწყობის პროგრამით გახარჯულია 100 000 ლარი.
4. საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სახელობის მუზეუმის მოწყობის ხარჯებით გათვალისწინებულია 50 000 ლარი,
5. ანაკლიაში 5 დღიანი, პირველი ბიზნეს ფესტივალი „ანაკლიობა“ გაიმართა. ფესტივალის მიზანი იყო ტურიზმის სექტორის გაძლიერება და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარება.
6. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით გამოიცა რევაზ პაპუაშვილის წიგნი „ზუგდიდის არქეოლოგიისათვის“

- ზუგდიდი მუნიციპალიტეტის გამგეობის სპორტის განყოფილების ორგანიზებით მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების განსახორციელებლად ჯამში დაიხარჯა 7504 ლარი.

მუნიციპალიტეტს სპორტის სხვადასხვა სახეობაში 12 საქართველოს, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონები ჰყავს.

- სოფელ რიყეში გაიხსნა ძალოსნობის ახალი, რეაბილიტირებული დარბაზი.
- სპორტის განვითარების ხელშეწყობისათვის გამოიყო 358.2 ათასი ლარი;

პროგრამის ძირითადი მიზანია:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარება და ახალგაზრდების მაქსიმალური ჩართულობა სპორტის სხვადასხვა სახეობებში. მუნიციპალიტეტის მასშტაბით გუნდების მომზადება და მონაწილეობა საერთაშორისო და ქვეყნის მასშტაბით. მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადება, სპორტის შემდგომი პოპულარიზაცია და სპორტის პროპაგანდისათვის ხელშეწყობა, ასევე სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებისათვის პირობების შექმნა, უზრუნველყოფა სპორტული ობიექტებით, სპორტული ინვენტარით, ტრანსპორტით მომსახურება, სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.

მიღწეული დადებითი შედეგები:

სპორტული წრეებისა და სექციების მიხედვით ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობის ზრდა. სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება. თანამედროვე საწვრთნელი პროცესების დანერგვა, სპორტული რეზერვების მომზადების ეფექტური სისტემა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

სპორტის სახეობების მიხედვით ჩატარებული რაიონული, ეროვნული და საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეთა რაოდენობა და დაკავებული ადგილების ხარისხი.

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილებამ მიმდინარე წელს უზრუნველყო საჯარო სკოლების შემეცნებითი ექსკურსიების ტრანსპორტირება, მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ინტელექტუალური თამაშებისა თუ სხვადასხვა ახალგაზრდული პროექტების ორგანიზებასა და განხორციელებაში, რისთვისაც ჯამში დაიხარჯა 22450 ლარი.

5). ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამედიცინო მომსახურეობისა და ძვირადღირებული მედიკამენტების დაფინანსების პროგრამით 2016 წლის დეკემბრიდან 2017 წლის ოქტომბრის ჩათვლით დაფინანსდა 1919 მოქალაქე.

1. კომპიუტერული და მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, კორონაროგრაფიით დაფინანსდა 179 მოქალაქე, თანხით -59346 ლარი.
2. ძვირადღირებული მედიკამენტებით დაფინანსდა 720 მოქალაქე, თანხით- 179017 ლარი.
3. ცერებრალური დამბლითა და დაუნის სინდრომის მქონე 21 მოქალაქე დაფინანსდა. თანხით- 10968 ლარი.

4. სტაციონალური სამედიცინო მომსახურეობა -ოპერაციის თანადაფინანსება დაუფინანსდა 539 მოქალაქეს, თანხით-301671 ლარი.
 5. C ჰეპატიტის დიაგნოსტიკა დაუფინანსდა 424 მოქალაქეს, თანხით-96305 ლარი.
 6. ქიმიოთერაპია, რადიოთერაპია სხივური თერაპია ქორმონოთერაპიის თანადაფინანსება დაუფინანსდა 20 მოქალაქეს, თანხით-14222 ლარი.
 7. ფენილკეტონურიით დაავადებულ ერთ მოქალაქეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა ყოველთვიურად უზრუნველყოფს სპეციალიზებული საკვების შეძენას 500 ლარის ოდენობით. 9 თვეში-6000 ლარის ოდენობით.
 8. აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე 15 არასრულწლოვანი ჩაერთო ბავშვთა აბილიტაციის პროგრამაში, რისთვისაც გამოიყო თანხა 47250 ლარის ოდენობით.
- ზემოაღნიშნული პროგრამების ფარგლებში დახარჯულმა თანხამ სულ შეადგინა - 714779 ლარი.

6). სოციალური უზრუნველყოფის ხელშეწყობა:

- ხანდაზმულთა, მარტოხელა მოხუცების და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გახარჯულია 41000 ლარი, მათ შორის:
 1. 100 წელს გადაცილებულ 17 ბენეფიციარზე (თითოეულს 1000 ლარის ოდენობით)-17000 ლარი;
 2. 104 მარტოხელა მოხუცზე (თითოეულს 100 ლარის ოდენობით) 17000 ლარი -10400 ლარი;
 3. 68 სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარის ოჯახზე (თითოეულს 200 ლარის ოდენობით) 13600 ლარი;
- ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამის ფარგლებში გახარჯულია 14200 ლარი, მათ შორის:
 1. 8 ბენეფიციარზე, გარდაცვლილი ომის მონაწილის ოჯახზე ფინანსური მხარდაჭერა (თითოეულს 250 ლარის ოდენობით) 2000 ლარი;
 2. მეორე მსოფლიო ომის მონაწილე 3-2 ვეტერანზე (ყოველთვიურად თითოეულს 100-200 ლარის ოდენობით) 3600 ლარი;
 3. 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით მეორე მსოფლიო ომის მონაწილე 2 ვეტერანზე (თითოეულს 1000 ლარის ოდენობით) 2000 ლარი;
 4. 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით 26 ზურგის მუშაკზე (თითოეულს 200 ლარის ოდენობით) 5200 ლარი;
 5. 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით 6 ცალი ყვავილების გვირგვინის შესაძენად 300 ლარი;
 6. 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრის ოჯახის ფინანსური მხარდაჭერა 1000 ლარი;
 7. 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების საფლავების შესამკობად შეძენილი ყვავილების თაიგულებისთვის 100 ლარი;

- **ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამის ფარგლებში გახარჯულია 47500 ლარი, მათ შორის:**
 1. 14 დედ-მამით ობოლ ბავშვისთვის (თითოეულს 300 ლარის ოდენობით) 4200 ლარი;
 2. 15 ბენეფიციარზე შვილის შეძენასთან დაკავშირებით (თითოეულს 200 ლარის ოდენობით პირველი და მეორე შვილის შეძენასთან დაკავშირებით, უმწეო კატეგორიის ადგილობრივ და დევნილ ოჯახებზე) 3800 ლარი;
 3. 104 მრავალშვილიანი ოჯახისათვის (200-500 ლარის ოდენობით) 23400 ლარი;
 4. 36 მარტოხელა მშობელზე (თითოეულს 300 ლარის ოდენობით) 10800 ლარი;
 5. 8 ბენეფიციარზე, ტყუპის შეძენასთან დაკავშირებით (თითოეულს 500 ლარის ოდენობით) 4000 ლარი;
 6. 2 ბენეფიციარზე, ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით (თითოეულს 500-800) 1300 ლარი;

- **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამის ფარგლებში გახარჯულია 105400 ლარი, მათ შორის:**
 1. 369 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის (თითოეულს 100 ლარის ოდენობით) 36900 ლარი;
 2. 115 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისთვის (თითოეულს 200 ლარის ოდენობით) 23000 ლარი;
 3. 12 ონკოლოგიური დაავადების მქონე პირისთვის (თითოეულს 100 ლარის ოდენობით) 1200 ლარი;
 4. 18 სმენადაქვეითებული და შეზღუდული მეტყველების მქონე პირისთვის (თითოეულს 100 ლარის ოდენობით) 1800 ლარი;
 5. შშმ პირთა და უმწეო კატეგორიის მარტოხელა მოხუცების მომვლელისათვის (ყოველთვიურად 34-44 ბენეფიციარს 100 ლარის ოდენობით) 23500 ლარი;
 6. ინვალიდთა ინტეგრაციისა და ხელოვნების განვითარების ასოციაცია „ჰანგი“-ს ბაზაზე არსებული ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდი „ოდიში“-ს თანადაფინანსება 19000 ლარი;

- **მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვის პროგრამის ფარგლებში გახარჯულია 41400 ლარი:**
 - 207 ბენეფიციარზე (თითოეულს 200 ლარის ოდენობით) 41400 ლარი;
- **ახალი წლისა და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით მრავალშვილიანი ოჯახის, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერანის, დედ-მამით ობოლი ბავშვების, მარტოხელა დედების, 100 წელს გადაცილებული ხანდაზმულების სასაჩუქრე პაკეტისათვის (170-200 ბენეფიციარი) სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამის ფარგლებში გახარჯულია 28755 - ლარი;**
- **სოფელ ხურჩის მოსახლეობის, უმწეო კატეგორიის სტუდენტთა და დიალიზის პროგრამაზე მყოფ მოქალაქეთა ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულების თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში გახარჯულია 57094 ლარი, მათ შორის:**

1. დიალიზის პროგრამაზე მყოფ 29-36 ბენეფიციარზე (ყოველთვიურად თითოეულს 100 ლარის ოდენობით) 37400 ლარი;
2. სოფელ ხურჩის მოსახლეობის მგზავრობის ღირებულების თანადაფინანსება (ყოველთვიურად დაახლოებით 400-450 ბენეფიციარი) 17294 ლარი;
3. 24 უმწეო კატეგორიის სტუდენტზე (თითოეულს 100 ლარის ოდენობით) 2400 ლარი;
- **სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში გახარჯულია 10644389 ლარი, მათ შორის:**
 1. ხანძრისა და სტიქიის შედეგად დაზარალებულ 121 ოჯახზე (თითოეულს 300-1000 ლარის ფარგლებში) 87043.89 ლარი;
 2. 36-22 ბენეფიციარის ბინის ქირით უზრუნველყოფისათვის (ყოველთვიურად თითოეულს 100 ლარის ოდენობით) 19400 ლარი;
- **დევენილთა მხარდაჭერის პროგრამა გახარჯულია 19400 ლარი, მათ შორის:**
 1. 57 გარდაცვლილი დევნილის ოჯახზე (თითოეულს 200 ლარის ოდენობით) 11200 ლარი;
 2. 82 სხვადასხვა კატეგორიის დევნილზე (თითოეულს 100 ლარის ოდენობით) 8200 ლარი;
- **სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ბუნებრივი აირის ქსელში ჩართვისა და გათბობის საშუალებებით მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გაიხარჯა 30600 ლარი:**
306 ბენეფიციარზე გათბობის საშუალებების შესაძენად (თითოეულს 100 ლარის ოდენობით) 30600 ლარი;
- **უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში გამოიყო 336508.54 ლარი;**
აქტიურად მიმდინარეობს მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების მქონე ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის პროცესი, მიმდინარე წელს სულ 27 ახალი საცხოვრებელი სახლი შენდება და დასრულდება წლის ბოლომდე.
მიმდინარე წელს გამგეობამ კიდევ ერთი ახალი პროექტის „ერთი თბილი ოთახი“, განხორციელება დაიწყო, რომელიც სოციალურად დაუცველი, მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების მქონე ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლის, ერთი ოთახის კეთილმოწყობას ითვალისწინებს, პროექტში ჩართულია 11 ბენეფიციარი.
- **სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში გახარჯულია 26840 ლარი, მათ შორის:**
 1. ა(ა)იპ „იმედი“-ს მიერ წარმოდგენილი პროექტის თანადაფინანსებაზე 1482 ლარი;
 2. პროგრამა „ხანდაზმულებზე მზრუნველი მობილური ჯგუფი“-ს დასაფინანსებლად (30 ბენეფიციარი) 17358 ლარი;
 3. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 5 იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდის ბანაკში „ეროვნული ტოლერანტობის სათავეები“ მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით (9 დღით) -2000 ლარი (თანადაფინანსება);
 4. ასოციაცია „იმედი“-ს მიერ წარმოდგენილი პროექტის თანადაფინანსებაზე 6000 ლარი;

6). მუნიციპალიტეტის მუშაობის საჯარო და გამჭვირვალების ხელშეწყობა:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს გამგეობის, თანამდებობის პირებისა და სხვა საჯარო მოსამსახურეთა საქმიანობის საჯაროობა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ღიაობა და გამჭვირვალობა, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეთა მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა. ამ მიზნით 2017 წლის თებერვალსა და მარტის თვეში გამგებლის ინიციატივით 48-ვე ადმინისტრაციულ ერთეულში, ხოლო აგვისტოს თვეში სამ ადმინისტრაციულ ერთეულში: ინგირში, ორსანტიასა და ახალბასთუმანში გაიმართა დასახლების საერთო კრება, სადაც შეირჩა და განისაზღვრა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში 2017-2018-2019 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები.

2016 წლის 1 დეკემბრიდან დღემდე განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები, რომელიც საზოგადოების ინფორმირებულობას ისახავდა მიზნად.

მუნიციპალიტეტი კვარტალში ერთხელ, 25 000 ტირაჟით გამოსცემს საინფორმაციო გაზეთს „ზუგდიდის მუნიციპალიტეტი“, სადაც დეტალურად არის მოცემული მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული აქტივობები და ინფორმაცია იმ სერვისების შესახებ, რომლითაც თითოეულ მოქალაქეს შეუძლია ისარგებლოს.

მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ და facebook გვერდზე. მუდმივად შუქთება მუნიციპალიტეტის გამგეობის, გამგეობის მიერ დაფუძნებული (დამფუძნებლის უფლემონაცვლე) ა(ა)იპ-ებისა და შპს-ების მუშაობის შესახებ ინფორმაცია.

ასევე, მომხმარებლებს ყველა სიახლე მიეწოდება ინგლისურ ენაზე. მსგავსი სერვისით პირველები ვართ სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონში.

2016 წელს, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა დასახელდა ყველაზე ანგარიშვალდებულ და ღია საჯარო დაწესებულებათა რიგში, გამგეობას გამოეგზავნა შესაბამისი სიგელი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის.

7). საქართველოს სახელწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტების ღირებულება:

1. რეგიონული განვითარების ფონდი - 9600,0 ათასი ლარი;
2. საავტომობილო გზების დეპარტამენტი - 2740.0 ათასი ლარი (ნაპირსამაგრების რეაბილიტაცია);
3. მუნიციპალური განვითარების ფონდი- 3770,0 ათასი ლარი;
4. სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის ფონდი-1130,0 ათასი ლარი;

აღნიშნული ფონდი მიმართულია შემდეგი ინფრასტრუქტურული ობიექტების რეაბილიტაციისათვის:

- ინგირის ადმინისტრაციული ერთეულში ბინების სახურავების რეაბილიტაცია 630,0 ათასი ლარის ოდენობით;
- დაზიანებული ხიდების, ნაპირსამაგრების, სანიაღვრეების, სულ 22 ობიექტის რეაბილიტაცია - 500,0 ათასი ლარის ოდენობით;

არ შეიძლება არ შევხვით მიღწეულ წარმატებებში მუნიციპალიტეტის ააიპი -ების და შპს-ების მნიშვნელოვან როლს.

მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ების მიერ გასულ პერიოდში. ძირითადად გამოიკვეთა მოსახლეობის შეკვეთებისადმი პასუხისმგებლობის ამძღვრება, თითოეული ა(ა)იპ ზრუნავს რათა მოსახლეობა იყოს კმაყოფილი.

8). ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავება“-ს მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სამუშაოები:

2017 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 48 სოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში დაინერგა მყარი ნარჩენების მოსახლეობიდან კარდაკარ შემოვლის მეთოდით გატანის პრინციპი.

შემდგომ და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ექსპულატაციაში იქნა გაშვებული სამი ერთეული „მერსედესი“-ს მარკის კომპაქტური ნაგავმზიდი ავტომანქანა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ იქნა 114 ცალი 1,1 მ³ ტევადობის მეტალის ნაგავშემკრები ურნები.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია სხვადასხვა კატეგორიის 636 ცალი ურნა, ურნები ძირითადად განთავსებულია ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებში და სოფლამდე მისასვლელ ცენტრალურ გზებზე.

48 ადმინისტრაციულ ერთეულში ყოველდღიურად ხდებოდა ცელოფენებისგან, პლასტმასის ნაკეთობებისგან, აგრეთვე სხვადასხვა ადგილებში მიმოყრილი საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან 40 ჰექტრამდე დაბინძურებული ტერიტორიის გაწმენდა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მომსახურეობა გაეწია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ 155-ზე მეტ საბიუჯეტო, სასწავლო, სამედიცინო, კომერციულ და სხვა დაწესებულებას.

განსაკუთრებული მოცულობითი სამუშაოები იქნა ჩატარებული ანაკლია-განმუხურის ტერიტორიაზე საკურორტო სეზონში და დიდ ღონისძიებებზე, ერთთვისანი ელექტრონული მუსიკის ფესტივალზე და „ანაკლია“-ობაზე. ზემოაღნიშნულ ღონისძიებას მიმდინარეობის პერიოდში მოემსახურა ცენტრის 60-მდე მუშა-მოსამსახურე და 5 ერთეული ნაგავშემკრები და ნაგავმზიდი მანქანა.

2017 წლის 22 მარტს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ფართოდ აღინიშნა ლურჯი ნაკადულის დღე. მდინარეების, ნაკადულების, ზღვის სანაპირო ზოლისა და წყალსაწრეტი არხების მყარი ნარჩენებისგან გაწმენდა-დასუფთავებაში მონაწილეობა მიიღო 843 პირმა, დასუფთავდა 41,4 ათასი კვადრატული მეტრი და ნაგავსაყრელში გაზიდულ იქნა 135,2 მ3 მყარი ნარჩენი.

მუნიციპალიტეტის 48 ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, ჯამში განთავსებულია 516 ცალი სხვადასხვა კატეგორიის ურნები;

- 1.1 მ³ ტევადობის ლითონის კონტეინერი 257 ცალი;
- 240 ლიტრის ტევადობის პლასტმასის ურნა 131 ცალი;
- 80 ლიტრის ტევადობის პლასტმასი 105 ცალი;

- 50 ლიტრის ტევადობის ბოძებზე დასამონტაჟებელი ურნა 23 ცალი;
2017 წელს 48 ადმინისტრაციულ ერთეულში განთავსდა დამატებით 114 ცალი სხვადასხვა ტევადობის ნაგვის ურნა.

2017 წელს შეძენილ იქნა „მერსედესი“-ს მარკის დახურული ტიპის კომპაქტორიანი 3 ნაგავმზიდი.

დასუფთავების სამუშაოების ორგანიზებისათვის გამოყოფილ იქნა 1,720.0 ათასი ლარი.

მიღწეული დადებითი შედეგები:

სანიტარიულ-ჰიგიენური და გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

დამკვიდრდა ნარჩენების მართვის ეფექტური და მდგრადი განვითარების პრაქტიკა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მნიშვნელოვნად გაიზარდა დასაგველი ტერიტორიის საერთო ფართი.

გაიზარდა ყველა უბნიდან და მონაკვეთიდან დასუფთავების ნარჩენების შეგროვებისა და ნაგვის გატანის მდგომარეობის მაჩვენებელი.

გაიზარდა სპეცტექნიკის რაოდენობა.

9). ა(ა)იპ „სასაფლაოების მართვის ცენტრი“.

საანგარიშო პერიოდში კიდევ უფრო დაიხვეწა ა(ა)იპ „სასაფლაოების მართვის ცენტრი“-ს მუშაობა.

კეთილმოწყობილ იქნა გასასვლელები და ბილიკები, სისტემატიურად იჭრება გადაბერებული ხეები, რომელიც შემდგომ გადაეცემა სოციალური დანიშნულებისათვის შესაბამის სამსახურს, სასაფლაოების კეთილმოწყობაზე კმაყოფილებას გამოთქვამს მოსახლეობა. შემოკავება გაუკეთდა ახალბასთუმანის N2, კახათის N4, განმუხურის N4; ორულუს N6, დიდინემის N2, ცაიშის და სხვა სასაფლაოებს.

სულ აღნიშნული მიზნისათვის სასაფლაოების მართვის ცენტრს გამოეყო 67,0 ათასი ლარი;

მოიხრემა რიყის N2, ჭითაწყარის N3, ინგირის N4 და სხვა სასაფლაოები, სულ სასაფლაოების 10 ერთეულის მოხრეშვისათვის მიმართულ იქნა 8,2 ათასი ლარი;

ჭაბურღილი გაუკეთდა ნაწულუკუს სასაფლაოს.

აღრიცხვისთვის დამზადდა 2350 სანომრე აბრა.

სისტემატიურად სუფთავდება სასაფლაოები ნარჩენებისა და ნაგვისაგან.

საერთო ჯამში მნიშვნელოვნად გაიზარდა კეთილმოწყობილი სასაფლაოების რიცხვი.

2017 წელს აღნიშნულ სამუშაოებისათვის ცენტრს გამოეყო 219,1 ათასი ლარი.

10). ა(ა)იპ „კეთილმოწყობის ცენტრი“

დაგეგმილი იყო რიგი პროგრამები და ღონისძიებები, რათა გაუმჯობესდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა, შეიქმნას მოსახლეობისათვის სათანადო სანიტარიული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები. მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება კეთილმოწყობის პროგრამის განხორციელებას, ამ კუთხით პროექტი ითვალისწინებდა, სხვადასხვა კეთილმოწყობის

სამუშაოებს: წყალმშემკრები არხების მოწყობას და არსებულის მოვლა-შენახვას, პარკების, გაზონების, სკვერების გამწვანებასა და მოვლა-შენახვას, გარე-განათების ქსელის მოვლა-პატრონობას, სოფლის ტერიტორიების იერსახის გაუმჯობესებას და სადღესასწაულო დღეებში მორთვას, რასაც ა(ა)იპ „კეთილმოწყობის ცენტრი“ სისტემატიურად ახორციელებს 48 ადმინისტრაციულ ერთეულში.

ა(ა)იპ „კეთილმოწყობის ცენტრს“ აღნიშნული სამუშაოს შესასრულებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოეყო 1,720.0 ათასი ლარი.

მიღწეული დადებითი შედეგები:

კეთილმოწყობილი ტერიტორიები, დასახლებული უბნების გაუმჯობესებული იერსახე, მოსახლეობის პოზიტიური განწყობა არსებული სფეროს მიმართ.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

კეთილმოწყობის საკითხებზე მოსახლეობის შენიშვნების ნაკლები რაოდენობა, აღნიშნულ საკითხებზე შემოსული თხოვნებისა და წინადადებების დაკმაყოფილების რიცხოვნობის ზრდა.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესადა ა(ა)იპ-ების: ბიბლიოთეკების ცენტრის, მუზეუმების ცენტრის, კულტურის ცენტრ „ოდიში“-ს და სხვათა მუშაობა.

11). განმუხურის ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამა

• სააგარიშო პერიოდში გახორცილდა განმუხურის ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის ფარგლებში დაგეგმილია ბოტანიკური ბაღის მშენებლობა და ინფრასტრუქტურის მოწყობა საგრანტო პროგრამებით, რისთვისაც გამოიყო 130,0 ათასი ლარი;

მიღწეული დადებითი შედეგები:

დაწყებულია განმუხურის ზღვისპირა ზოლში მოსახლეობის, ჩამოსული ტურისტებისა და დამსვენებლებისათვის კეთილმოწყობილი დასასვენებელი ადგილის მოწყობა. რითაც მიღწეულ უნდა იქნას მოსარგებლეთა პოზიტიური განწყობა. მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მიღწეულია დამსვენებელთა რიცხოვნობის ზრდა, რას შემდეგ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზრდება.

12) შპს "ANAKLIA-GANMUKHURIS RESORTS"-ის ფინანსური ხელშეწყობა

პროგრამის შესაბამისად, განხორციელდა ანაკლიაში არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, კერძოდ: ხელოვნური საფარისა და ქვიშის მოედნების სამუშაოები, ასევე ამფითეატრში მიმდინარე სამუშაოების შესრულება. შადრევნების, საშხაპეების, წყლის სასმელი სოკოებისა და მსგავსი ფასეულობების მოვლა-პატრონობა. არსებული გამწვანების ზოლის მოთიბვის სამუშაოები, სხვადასხვა ხე-მცენარეების გასხვლა, შეწამვლა და შესაბამისი მინერალებით კვება. ასევე განხორციელდება არსებული ელექტრო გაყვანილობის სადენების, ელექტრო მოწყობილობების, სხვადასხვა ტიპის სანათების, განათების ბომბებისა და სხვა მინათების საშუალებების მოვლა-პატრონობა და სწორი ექსპლოატაცია. შპს „ANAKLIA-

GANMUKHURIS RESORTS"-ს უზურფრუქტის ფორმით გადაეცა ანაკლია-განმუხურის საფეხმავლო ხიდი, რომლის სიგრძე შეადგენს 605 მეტრს. აღნიშნულ ხიდს გასულ წელს ჩაუტარდა კაპიტალური სარეაბილიტაციო (ძირითადად განათების) სამუშაოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით. მიმდინარე წელს გახორციელდა ხიდის შეკეთებისთვის საჭირო მნიშვნელოვან კაპიტალურ სამუშაოები, რომელიც აუცილებელი იყო საკურორტო სეზონის მზადყოფნისათვის.

მიღწეული დადებითი შედეგებით:

საკურორტო ზონაში აღდგენილ იქნა, გამართული და გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა, რომელმაც შექმნა დამატებით კომფორტი ვიზიტორებისთვის და ესთეტიურად წარმოაჩინა ზღვისპირა კურორტის სილამაზე.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

რეაბილიტირებული და მოვლილი ინფრასტრუქტურის შედეგად ამაღლდა ზღვისპირა კურორტის ანაკლია-განმუხურის ცნობადობა. გაიზარდა ვიზიტორების რაოდენობა, მათი კმაყოფილების დონე. შეიქმნა ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი გარემო;

აღნიშნული მიზნით ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიმართულ იქნა **735.0 ათასი ლარი**.

აქვე მინდა შევეხო რამოდენიმე საკითხს:

- მიმდინარე წელს მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მთლიანად დასრულდა მოსახლეობის გამრიცხველიანება დახარჯული ელ. ენერჯის აღრიცხვიანობისთვის.
- განსაკუთრებული დაჩქარებული ტემპებით მიმდინარეობს მოსახლეობის გაზიფიკაციის საკითხების გადაწყვეტა, 2017 წელს გაზიფიცირებულ იქნა 3 ადმინისტრაციული ერთეული.

მუნიციპალიტეტის გამგეობის მონდომება, საქმისადმი პროფესიული დამოკიდებულება, მაღალი პასუხისმგებლობა მოსახლეობის წინაშე, მრავალჯერ აღინიშნა ქვეყნის უმაღლესი და ადგილობრივი ხელისუფალების მიერ. რეგიონულ განვითარების სამინისტროს მიერ, მუნიციპალიტეტში შექმნილი პრობლემების ოპერატიულად გადაწყვეტისათვის მიღებული სათანადო გადაწყვეტილებები კიდევ უფრო გვავალდებულებს დროულად მოვახდინოთ რეაგირება მოსახლეობის მოთხოვნებზე. მათი მხრიდან მუდმივი მხარდაჭერა იყო ჩვენი მუშაობის წარმატების მთავარი გარანტი.

მიღწეული წარმატებების საფუძველი იყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სამსახურები, ერთიანი გუნდი, რომელიც მიზანმიმართულად, ერთიანი ძალიხმევით წყვეტდა მოსახლეობაში არსებულ პრობლემებს. სამსახურის წინაშე დასმულ ვალდებულებებს.